

იერუსალიმის საკითხი საერთაშორისო და რეგიონულ პოლიტიკაში

ლელა კიკაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი სანიკიძე, პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ლელა კიკაძე

07.06.2018

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში გამოკვლეულია იერუსალიმის საკითხი, რომელიც გასცდა რეგიონალურ მასშტაბებს და საერთაშორისო დონეზე ერთ-ერთ მოუგვარებელ პრობლემად იქცა. ისრაელის სახელმწიფოს დაარსების პერიოდიდან მოყოლებული (1948 წ.) იერუსალიმის სტატუსზე დავა დღემდე გრძელდება. იერუსალიმი არა მარტო ისრაელსა და პალესტინას შორის გახდა დაპირისპირების საფუძველი, არამედ მთლიანად არაბულ სამყაროში, რომლებიც პალესტინის პოზიციას უჭერენ მხარს. იერუსალიმის სტატუსი თავდაპირველად აისახა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1947 წლის 29 ნოემბერს მიღებულ 181-ე რეზოლუციაში, რომლის საფუძველზეც იერუსალიმს „განსაკუთრებული საერთაშორისო რეჟიმის სტატუსი მიენიჭა“ (UN general Assembly 1947, Res. 181), თუმცა ეს მხოლოდ კანონმდებლობაში განსაზღვრულ სტატუსად დარჩა.

დღეს იერუსალიმზე მთლიანად ისრაელის სუვერენიტეტი ვრცელდება, რომელიც ცდილობს საერთაშორისო დონეზე მოიპოვოს იერუსალიმის დედაქალაქად აღიარების მხარდაჭერა. ამის საპირისპიროდ კი პალესტინა აღმოსავლეთ იერუსალიმზე აცხადებს პრეტენზიას და მას პალესტინის მომავალი სახელმწიფოს დედაქალაქად მიიჩნევს. შესაბამისად, კვლევის მიზანს წარმოადგენს, პასუხი გასცეს დღემდე გადაუჭრელ კითხვას, შესაძლებელია თუ არა იერუსალიმს მიენიჭოს ორმაგი დედაქალაქის სტატუსი და ამავდროულად, გამოავლინოს ის მიზეზები, რომლებმაც გაართულეს იერუსალიმის სტატუსის განსაზღვრა, როგორც ორ მხარეს შორის, ასევე საერთაშორისო დონეზე.

საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე, ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი. საბაზისო მეთოდოლოგიურ მიდგომად წარმოდგენილია შემთხვევების შესწავლის (Case Study) მეთოდი. ისტორიული კონტექსტის ხასიათის გათვალისწინებით, კონკრეტული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დასადგენად,

კვლევაში გამოყენებულია პროცესზე მიდევნების (Process Tracing) ტექნიკა, რომელიც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გამოვლინდეს კაუზალური კავშირები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ იერუსალიმის მნიშვნელობამ ორი ხალხისა და სამი მსოფლიო რელიგიისთვის სტატუსის განსაზღვრის საკითხი უფრო გაართულა. გაეროს მიერ სტატუსთან დაკავშირებული რეზოლუციები არაეფექტური აღმოჩნდა. მხარეებს შორის ურთიერთგამომრიცხავი პრეტენზიებისა და საერთაშორისო დონეზე არასტაბილური პოზიციიდან გამომდინარე, იერუსალიმის სტატუსის განსაზღვრა დღემდე მოუგვარებელ საკითხთა კატეგორიას მიეკუთვნება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: იერუსალიმის სტატუსი, ისრაელ-პალესტინა, საერთაშორისო თანამეგობრობა, იერუსალიმთან დაკავშირებით მიღებული რეზოლუციები, იერუსალიმი - ორმაგი დედაქალაქი.

Abstract

The Present thesis explores, the issue of Jerusalem has gone beyond regional scales and has become an unresolved problem internationally. Since the creation of Israel in 1948, the dispute over the status of Jerusalem continues. Jerusalem became the basis for controversy not only between Israel and Palestine, but also in the entire Arab world that support Palestine's position. The status of Jerusalem was initially reflected in the 181 resolution adopted by the UN General Assembly on 29 November 1947, on the basis of which "Jerusalem was granted a status of a special international regime", though this remained only a statutory jurisdiction.

Today Israel's sovereignty is fully extended to Jerusalem, seeking to gain recognition as the capital of Jerusalem. Contrary to this, Palestine claims on East Jerusalem and considers it as the capital of the future Palestine state. Consequently, the purpose of the study is to answer the unresolved question of whether Jerusalem may be granted the status of a dual capital, and at the same time to reveal the reasons that have complicated the status of Jerusalem between both sides and internationally.

Based on research topics, the thesis uses qualitative research method. Basic methodological approach is a method of Case Study. Taking into consideration the nature of the historical context, in order to determine specific casual relations, the research also uses Process Tracing that allow the possibility to identify casual connections with regard to this issue.

As a result, the study revealed that the significance of Jerusalem for two people and the three world religions has further complicated the issue of determining the status. Resolutions regarding the status quo of the United Nations were ineffective. Due to the contradictory claims between the parties and the unstable position on the international level, the determination of Jerusalem's status still belongs to the category of unresolved issues.

Key words: Jerusalem status, Israel-Palestine, International Community, Resolutions regarding Jerusalem, Jerusalem - a double capital.

მადლობა

აღნიშნულ ნაშრომზე მუშაობა გამართულდებოდა აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულებით კომპეტენტური პიროვნების რჩევების და საინტერესო მოსაზრებების გაზიარების გარეშე.

ნაშრომის მომზადების პროცესთან დაკავშირებით, განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი თეზისის აკადემიურ ხელმძღვანელს, ბატონ გიორგი სანიკიძეს. აღნიშნულ სფეროში, მისი ცოდნის ხარისხი ძალიან დამეხმარა ნაშრომზე მუშაობის პროცესში. მის მიერ მოცემული რეკომენდაციები და კრიტიკული ხედვები, მნიშვნელოვანი იყო კვლევის ყოველ ეტაპზე.